№ 71 9 აპრილი, პარასკევი. 1866—1882 9 აპრილი, პარასკევი. № 71

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზედ, ივ. მუხრანსკის სახლებ-ში, [illegible] ქვემოთ

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (ვერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ხელის-მომწერთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა . . . | 9 მან. | სამის თვისა . . . | 3 მან. |
| ექვსის თვისა . . . . | 5 მან. | ერთის თვისა . . . | 1 მან. |

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით, ასოზე [illegible] ასოზე ნახევარი კაპ., [illegible]

თუ ხელნაწერები მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

## „დროება"

პირველის აპრილიდამ წლის დამლევამდინ ღირს შვიდი მანეთი

ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба".

**ტფილისის უეზდის კეთილშობილთ წინამძღოლელი** უმორჩილესად სთხოვს ბატონთ ტფილისის უეზდის თავად-აზნაურთ, რათა ინებონ და მობრძანდნენ ამა აპრილის 11-სა, კვირას დილით 11 საათზე, ტფილისის უეზდის კეთილშობილთ შეკრებილებაში, ტფილისის თავად-აზნაურთ საადგილ მამულო ბანკში.

**საგანნი:** 1) აზნაურთ სიების და საბუთების გაშინჯვა; 2) განხილვა საქმისა, შესახებ აზნაურთ შვილების აღზრდაზე და 3) ამორჩევა უეზდის აზნაურთ კომიტეტისა პრიკაზის ვალების პატიობის საქმეზე,—ამა ბოლოს საგანზედ მოიწვევიან ის თავად-აზნაურნი ტფილისის უეზდისანი, რომელთაც სოფლის მამულები აქვსთ დაგირავებული პრიკაზში. (3—1)

## ტელეგრამმა

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი")

**პეტერბურღი**, 7 აპრილს. „მმართებლობის მოამბეში" ვკითხულობთ: იმპერატორის თეატრის მონაწილეა სატახტო ქალაქებში მოსპობილი იქნება. ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ ებრაელების ეწვევა შვიდ ადგილას ყოფილა ხერსონის, პოდოლის და ჩერნიგოვის გუბერნიებში.

ფინანსთ მინისტრმა ყველა ბანკებს უფლება მიანიჭა, რომ სოფლის საზოგადოებებზე და გლეხ-კაცთ ამხანაგობაზე გასცენ სესხი.

„ნოვოე ვრემია" ამბობს, რომ სახალხო განათლების სამინისტროში არავითარი ცვლილება არ მოხდება.

„ნოვოსტში" სწერენ, ახალი წესდება თამბაქოს ბაჟის თაობაზე სახელმწიფო რჩევამ დაამტკიცაო; ვინც ამ წესდებას დაარღვევს, ჯარიმას გარდა ამათ დატუსაღებითაც დასჯიანო.

**პეტერბურღის ბირჟა**, 6 აპრილს.

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 95—50 |
| მეორესი — — — — | 91— 5 |
| მესამესი — — — — | 91— 5 |
| მეოთხესი — — — | 91— 5 |
| მეხუთესი — — — | 90—50 |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 90—50 |
| აღმოსავლეთის მეორე | 90—62 |
| აღმოსავლეთის მესამე | 90—62 |
| ოქრო, $^1/_2$ იმპერიალი | 8—10 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 220—75 |
| მეორე სესხის — — | 213—50 |

100 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — | 24—47 | პენსი |
| ჰამბურღი — | 209—25 | ცენტი |
| პარიჟი — — | 258— „ | სანტიმი |
| ბერლინი — | „ — „ | პფენიგი |

### დღიური

კავკასიის მთავარ-მმართებლის დამტკიცებულის გეგმით წელს შემდეგ ალაგებში იქნება გამიჯვნა:

ტფილისის გუბერნიაში; დუშეთის მაზრაში: გამიჯვნენ დამპალოს, ხოფას, სარბიელს, იკოთს, არგუნს და სხვ. აღსრულებაში მოიყვანენ: გაყოფა ბელაჩაურის, გორიჯანის და ქსორისის მამულებისა; სასამართლოს გარდაწყვეტილებას მოიყვანენ აღსრულებაში: მსხალ-ტბის-უანდის, მჭადის-ჯერის და სხვა მამულების შესახებ.

თიონეთის მაზრაში: გამიჯვნა იქნება: მეთრა-ხევის, ჯებოთის, ზემო-თიანეთის, ქაკაბეთის, ახალ-სოფლის, ჩაბანოს, ჩრდილის, ალევანის, ახმეტის და საქავქავაძო.

თელავის მაზრაში: სასამართლოს განჩინების სისრულეში მოყვანა: ხორხელში, ტოგნიანში და ალმათში, და გამიჯვნა ფშაველისა, ლალის-ყურისა, ბობანეულისა. ურიათ-უბნისა, შაშიანისა და ქალაურისა.

გორის მაზრაში: გამიჯვნა საციციანოსი, საამილახვროსა და საბაშიოსა და საამილახვროს შუა მამულებისა; გაყოფა და გამიჯვნა ქავთის-ხევისა, ერთა-წმინდისა, სოფ. ახალ-ციხესი, ორბეთის, ნოსტესი და ქიცნისისა; სასამართლოს გარდაწყვეტილების სისრულეში მოყვანა: საციციანოსა და საამილახვროში.

თფილისის მაზრაში: გაყოფა გლდანი? მამულებისა, ბოტკოსი, სამგერეთის, პატარა ლილოსი და თათრის სოღანლუღისა; სასამართლოს გარდაწყვეტილების სისრულეში მოყვანა: საგარეჯოს მამულებისა, პატარძეულში, ქოდას, წითელ-წყაროში, ხულეთში, ქვემო ოძისში, ჩხიკვთა და მაწეკანში.

ბორჩალოს მაზრაში: მდ. დებედა-ჩაის (ბორჩალოს) ორივე ნაპირებზე მდებარე მამულების გამიჯვნა, ბერგერის, მართაფლოურის, აფარცის; გაყოფა და გამიჯვნა მამულებისა სანაინში, ვარნაკში, მარაბდას და ვანში, დიდ-შულავერში, იგაატს და ხახლოჯვარში; სასამართლოს გარდაწყვეტილების სისრულეში მოყვანა: ხახლოჯვარში, სანაინში, ვარნაკს, ქეშალში, ყარა-ქეშალს, გამოღმა-სარქისს, პატარა შულავერში, ფახრალოს, ილმაზლის, თაშირ-ჯილგას, შავ-მირზა-სოფელი, ვაშლობს, მუ-

---

(დროების) ფელეტონი, 9 აპრილი

### დღიურიდამ.

(რუსულიდამ*)

ჩემი მეგობარი, ახალგაზდა რომანისტი X... კვდებოდა გიჟების სახლში. მე ყოველ დღე მივდიოდი მის სანახავათ. ყოველ დღე ის მაძლევდა დაწერილ ქაღალდის ფურცლებს, რომელსაც ის სწერდა. დაჩვეული იყო წერას და არ ივიწყებდა ამ ჩვეულებას.

ჩემს მეგობარს ჰქონდა იმ გვარი შეშლილობა, რომ საშიში არ იყო მელნისა და ქაღალდის მიცემა; შრომა-კი მას ვერ ავნებდა, იმიტომ რომ კვდებოდა სიგიჟისაგან კი არა, სიჭლექისაგან: მარჯვენა ფილტვი აღარა ჰქონდა და მარცხენა ნახევრად გაფუჭებული.

როდისმე მკითხველებს გარდავცემ ნაწყვეტებს იმის „გიჟური" რომანიდამ. არ გეგონოთ კი, რომ ის ნაწყვეტები წარმოადგენდნენ მხოლოდ ერთს სისულელეს. არა, ძნელად დასაჯერებელ აზრებს შორის, რომლებიც ირევიან ერთმანეთში, როგორც კუდიანები ილბუზის მთაზედ უგუნურ და მახინჯ ფერხულებში, ზოგჯერ ბრჭყინავს ისეთი გასაოცარი მშვენიერება, ელავს ისეთი ვნება და წუხილი, რომ გული იკრუნჩხება აღტაცებისაგან და საშინლობისაგან. მაგრამ ამ რომანს მე დავბეჭდავ შემდეგ, როდესაც გადავარჩევ ფურცლებს.

ეხლა კი გარდმოგცემთ მხოლოდ პატარა ნაწყვეტს იმის დღიურიდამ, რომელიც არის დაწერილი სიკვდილის უკანასკნელ წამებში. როცა ჩემი მეგობარი მკვდარი ნახეს, კალამი ხელში ეჭირა. ის მოკვდა, როდესაც დასწერა თავისი უკანასკნელი სიტყვა.

ექიმი მარწმუნებდა, რომ ამ გვარ შეშლილებს უკანასკნელ დღეებში აქვთ გამოფხიზლების წამები, და უთუოდ ამ წამებში მომაკვდავის გულმა წარმოსთქვა ის აღსარება, რომელიც ვიპოვნეთ იმის გაციებულ და გაშეშებულ ხელ-ქვეშო. ხელთ-ნაწერზედ სჩანდა ცრემლების ნიშნები, რომლისაგამო მრავალი ასოები და მთელი სიტყვებიც წაშლილია. მე ისინი აღვადგინე ჩემის მოსაზრებით, და წინათვე შენდობას მოვითხოვ მკითხველისაგან, თუ ეს საქმე საკმაოდ კარგად ვერ შევასრულე.

შემდეგში იქნება აღვწერო ამ კაცის ცხოვრება. იგი საინტერესოა იმის გასაგებათ, თუ რა ყოფაშია, რა მდგომარეობაშია, რა გვარ შრომის პირობეებში იბრძვის პეტერბურღელი რომანისტი, რომელიც განშორებულია რუსეთს, საზოგადოებას; რომელიც იტანჯება შიმშილისაგან, რომელიც სცხოვრობს მხოლოდ თავის ოცნებით, რომელიც არ ხედავს არც საზოგადოებას, არც ნამდვილ ცხოვრებას, არც სიმშვიდეს, არც ბედნიერებას, მაგრამ მაინც შრომობს... შრომობს...იბრძვის, სანამ სიგიჟე ან სიჭლექე არ მოუღებენ ბოლოს მის წამებულ სიცოცხლეს.

..... ნოემბერი 1879 წ.

ხომ არ შევცდი, რომ ამოვირჩიე რომანისტის ასპარეზი! განა მაქვს ნიჭი? მაგრამ, რა მიზიდავდა ეგრე ვნებით ამ ასპარეზისაკენ, თუ არ ნიჭი, თუ არ დანიშნულება? არ არის ასპარეზი ჩემთვის უფრო საყვარელი იმიტომ კი არა, რომ მე მწყუროდეს დიდება, სახელი, ოხ, არა! მე არაფერი, არაფერი ესეთი არ მინდა. მე მხოლოდ ვსიამოვნებ, ვცურავ რაღაც გამოუთქმელ ნეტარების ზვირთებში, როდესაც ვწერ თხზულებას; მე ვცხოვრობ ჩემ გმირებთან, ისინი მეხვევიან გარს, როგორც ცოცხლები, მე მათთან ერთათ ვგრძნობ, მიხარიან, ვიტანჯები, ვსტირი! ოჰ ვინც არ იცნობს ამ სიამოვნებას, ის ვერ მიხვდება ამას.

მერე, ის აზრი, რომ ათას ჭკუაში გაივლის ის სინათლე, რომელიც ინათებდა ჩემ გულში, როდესაც მე ვწერდი; ის აზრი, რომ ამ სტრიქონების წაკითხვის დროს, რომლის წერაშიაც მე არ მეძინა, ვსტიროდი მთელი ღამეები,—ათასი ახალგაზდა მღელვარე, ჭეშმარიტების მწყურვალე გულები იწყებენ ძალოვანათ ძგერას, დაისწავლიან მძლავრათ სიყვარულს ან მძულვარებას, სინიდისს, სიმართლეს, სხვისთვის შრომას....

რა სასიამოვნოა ის აზრი, რომ შენ უცნობი უყვარხართ! ოჰ ეს დიდების სურვილი არ არის! ეს არის სიყვარულის წყურვილი, სიყვარულის ადამიანისადმი, რომელსაც მე ჩემს დღეში

*) ჟურნალიდამ „Мысль", 1881 წ. №1.

სეპრიანს, თანზიას და ჰესეინ-ქიანდს.

**სიღნაღის მაზრაში.** გამიჯვნა ზავაზისა, ჩალა-უბნის და კარდანახისა; გაყოფა მამულებისა: ჩუმლაყში, ბაკურციხეს, ბურჯაანს და მეჯინში; სისრულეში მოყვანა სასამართლოს გარდაწყვ. ჩუმლაყში და ზეგაანს.

**ქუთაისის გუბერნიაში.** ქუთაისის მაზრაში: გამიჯვნა კოკისა, ხრისლისისა, შინეთისა და ნაბოსლებისა; გაყოფა მამულებისა: სალორიაში, ბუმათს და სტრუისკისა და შიმანსკის მამულებისა.

**ოზურგეთის მაზრაში:** გამიჯვნა ჩოჩხათისა, ჯურუკეთისა და ბურიანთის მამულებისა.

**ზუგდიდის მაზრაში:** გამიჯვნა სოფ. ხეთას, ზენას და ოზბუჯის, ცაიშის და ხორშის, შემდეგ ციზეთის, საგუგუნავოს, საონარკიას, საგვასალიას, საგობისკირასი, სალობზას და საადანაიასი.

**სენაკის მაზრაში:** გამიჯვნა პატარა-ჭალადიდის, თურჩას, ეკის და ახალ და ძველ სენაკისა.

***

გაზეთს „კავკაზში“ დაბეჭდილია, რომ მთავარ-მმართებელი თ. დონდუკოვ-კორსაკოვი ამ აპრილის 12-ს მიემგზავრება ვლადიკავკაზისაკენ, შემდეგ ბაქოს და აქეთ კასპიის იქითა მხრის (ასხაბადამდინ) ამ ქვეყნების დასახედავად და გასაცნობად. თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი 16 მაისს დაბრუნდება თფილისში ნუხით და ზაქათალითაო.

***

ზემოხსენებულისავე გაზეთის სიტყვით, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის-ძე ამ გაზაფხულს თავის მამულში ბორჯომში აპირებს ცხოვრებასაო. მისი უმაღლესობა უკვე წამოსულა პეტერბურღიდამ.

***

ახალქალაქის მაზრიდამ გვწერენ, რომ სოფ. ხერთვისის საზოგადოება დიდი ხანია უჩივის თავის მამასახლისს სოფლის შეიწროებაში და საზოგადოების ფულების შეჭმაშიო. ახლა ამ საზოგადოებამ ხსენებულ მამასახლისზედ მაზრის უფროსთან საჩივარი შეიტანეს და თხოულობენ, რომ იმის გამოცვლის ნება მოგვცესო.

***

სიღნაღის მაზრის სოფ. მაღაროდამ გვატყობინებენ, რომ ვავლილ 21 მარტს, ბზობის ღამეს, სცენის მოყვარეთ წარმოუდგენიათ ვოდევილი „ცოლი თუ გინდათ, ეს არის!“. ეს პირველი თეატრალური წარმოდგენა იყო ამ სოფელშიო და ყველას ძალიან მოეწონაო. წარმოდგენის შემდეგ თამაშობა მოაყოლესო და ბოლოს სახლის-პატრონმა ბ. ს ჭ—შვილმა ხილი მოართვა ხალხსაო. ბილეთების ფასი 20 კაპ. ყოფილა.

***

გაზ. „რუსის კურიერში“ დაბეჭდილია, ჩვენ გავიგონეთო, რომ რეალურ სასწავლებლებში კურს-შესრულებულ ყმაწვილ-კაცებს მიეცემათ უფლება უნივერსიტეტის საექიმო და მათემატიკის ფაკულტეტებზე შესვლისაო.

დიდი ხანია მოელიან ამ საზოგადო ნატვრის შესრულებასა და, თუ ზემოხსენებულის გაზეთის ამბავი გამართლდა, რაღა თქმა უნდა, რომ ეს ყველასთვის სასიამოვნო ამბავი იქნება.

***

ამავე გაზეთში დაბეჭდილია შემდეგი ცნობა დედოფლის ანასტასიის მიცვალებაზედ:

„31 მარტს, დილის 4 საათზე მოსკოვში, საკუთარს სახლში მიიცვალა ქართული დედოფალი ანასტასია გრიგორის ასული, მეუღლე მიცვალებულის ბატონის შვილის ილიასი უკანასკნელის საქართველოს მეფის გიორგი მეცამეტის ძისა. მიცვალებული ანასტასია მოკვდა 78 წლისა ფილტვების სიღამპლის გამო; ძლიერ ღვთისმოყვარე და ქველმომქმედი ქალი იყო.“

***

მოსკოვის გაზეთებში იწერებიან, რომ „გაზეთის „Вѣстникъ Кавказъ“-ის რედაქტორმა ბ. ჩანცევმა ითხოვა უმაღლეს მთავრობისაგან, რომ ამ გაზეთის მოსკოვში გამოცემის ნება-რთვა მიეცეს. მაგრამ მთავრობამ ვერ შეასრულა ამის თხოვნაო.

***

ამავე გაზეთების სიტყვით, ამ თვის 5 სებასტოპოლში დანიშნულია კრება ყველა იმ მემარულეებისა, რომელთაც ვენახები აქვთ და ამ კრებაზე უნდა მოილაპარაკონ იმის შესახებ, თუ რა ღონის-ძიებით შეიძლება ფილოქსერის მოსპობა.

## ახალი რუსის ტრუპპა

ბუშინწინ სამშაბათს, საზაფხულო თეატრში დაიწყო რუსული წარმოდგენები ბ. კუმპმანისაგან მოყვანილის ტრუპპისა.

წარმოადგინეს „Дилажка“ კომედია ოსტროვსკისა.

ადლ-ნახევრიანი აფიშები აქტიო... აქტრისების გვარებით და იმითი ნ... ჰიერების აღწერით ისეთ რიგ... გვჭყრიალებდა ქუჩის კედლებზედ, რო... ნება-უნებურად გაფიქრებინებდა... „უეჭველია, კარგი ტრუპპა უნდა იყო... და ბ. ანტრეპრენიორს დიდი შემო... ვალი ექნებაო“! მაგრამ წარმოიდგი... ნეთ ჩვენი გაკვირვება, როდესაც ... საღამოს ჩვენ თვალს წარმოუდგ... პარტერი კანტაკუნტათ მსხდომის ხალ... ხით და მარტო სამი ლოჟა დაჭერ... ვებული! „როგორ“, ვაძახდით ჩვენ... „ორმოც-და-ცხრამეტი ახალი მოთა... მაშენი, ადლ-ნახევრიანი აფიშები, ... ამის შემდეგ თეატრი კიდევ ცარიე... ლი დარჩეს? მოთამაშეების სანახავა... პირველად მაინც როგორ არ მოვიდა ხალხი“!

მაგრამ ეტყობა, ჩვენი ტფილისის საზოგადოება დიდი ხანია რაც სიყრ... მიდგან გამოვიდა, და იმას, გაჭიანუ... რებული აფიშების გარდა, უფრო სხვ... საფუძვლიანი მოთხოვნილება აქვს. ამ გვარად თვალთ-მაქციობით ადარ... სტყუვდებიან. სულ შემოსავალი იყო 192 მ. და ეს პირველ წარმოდგენა... ზედ! მე დარწმუნებული ვარ, რომ ბ. კუმპმანს ამ გვარი აფიშების და განცხადებების მაგივრად, უბრალო განცხადება გამოეცა, ხალხი ერთი ორად მეტი დაესწრობოდა თუ დრო... გასატარებლად არა, დროს მოსაკლ... ვად მაინც წავიდოდნენ.

თითონ წარმოდგენამ ისე გაიარა, რომ საზოგადოებას მარტო მესამე მოქმედების შემდეგ დაეტყო იქ ყოფ... ნა. მხოლოდ მაშინ გამოისმა კანტა-კუნტად ტაშის კვრა და ისიც უფრო...

---

ვერ გავიცნობ და რომელიც თავის დღეში ვერ გამიცნობს. მაგრამ არა, მე კაცს ვიცნობ! ის წარმომიდგება თვალ წინ სწორედ ისე, როგორც ჩემი რომანის გმირები. ზოგჯერ ისეც მგონია, რომ ჩემი მკითხველები და ჩემი რომანის გმირები—ერთი და იგივეა. დიახ! ეს გასაკვირველია, მაგრამ ნამდვილად ეგრე კია.

ჩემი მკითხველი უცბათ ვარდება ჩემ რომანში, მერე ისევ გამოსხლტება იქიდამ და ხდება მკითხველათ. თითონ კითხულობს თავის თავს... ეს რაღაც სულელობაა! თითონ კითხულობს თავის თავს? ეს როგორ შეიძლება? იქნება სწერს კიდეც თავის თავს? არვიცი. აი ნახეთ: ქვეანი, ჩაფიქრებული, თმა გრძელი თავი სტუდენტისა მოიხარა ჩემს წიგნზედ ერთ გროშიან ჭრაქის მძლივს მბჟუტავს სინათლეზე, მეხუთე სართულის საწყალ ქოხში; მე იმ ქოხსაც ცხადათ ვხედავ, იმ სტოლსაც, რომელზედაც აწყვია ერთი გროვა წიგნებისა, დაბნეული თამბაქო და პაპიროზის ქაღალდი; ვხედავ იმ სტოლს, რომელზედაც ის დაეყრნდო იდაყვებით და ხელით იჭერს გახურებულს თავს; ვხედავ იმ რკინის კრავატსა კუთხეში, ბალიშებს გაყვითლებულის პირით, გახუნებული შალის საბნით... ვინ არის ესა! ჩემი გმირი თუ მკითხველი?

აი კიდევ ერთი ჩემი მკითხველი ქალი... მე ეს განსაკუთრებით ძალიან მიყვარს!.. როდესაც ვხედავ მას, გული როგორღაც მეთუთქება. მე არაეის არას დროს არა ვყვარებივარ ისე, როგორც უნდა, როგორც წესია; და თუ ვყვარებივარ... რა საძაგელი, რა გარყვნილი ყოფილა ეს სიყვარული! ცხოვრება ყველაფერს ჰრყვნის-თვით უმაღლესს გრძნობასაც! კაცის ცქერა მოსწყინდებათ და მასში აღარ ხედვენ იმ ღვთის ნაპერწკალს, რომელსაც ხედავდნენ უწინ. ქალებს განსაკუთრებით უფრო არ შეუძლიანთ დაინახონ ეს ნაპერწკალი ახლო მყოფ ადამიანში და ეს სენია თვით საუკეთესო ქალებისაც. რომ მათ დაინახონ ეს ნაპერწკალი, უნდა იდგე მათ მოშორებით, სიმაღლეზე. ჩამოხვედით, მიახლოვდით მას და თვითონვე დაგიწყებთ გლეჯას, იმისთვის რომ ის უწინ გიცნობდათ ღმერთათ, ეხლა-კი თქვენში ხედავს მხოლოდ ადამიანს... და ის თქვენ ტალახში მოგსვრისთ, საშინელ ტალახში...

მგრეთი არ არის ჩემი მკითხველი!

მე მას წარმოუდგები გაწეწილ ბინძურათ-კი არა, როგორიც მართლაც ვარ; ღმერთად-კი არ ვეჩვენები, არამედ კაცათ—ადამიანათ, რაც ვარ ნამდვილად... მის თვალ წინ არარის ჩემი ხეპრე, უშნო, დატანჯული სნეული... მას თვალ წინ უდგია ჩემი ოცნება, ჩემი იდეია, უძილო ღამეები, გაუსაზღვრელი ლტოლვილება ჩემი ვნებული სიყვარულისა და ტანჯვისა. მე ვხედავ, როგორც ისინი ეხვევიან მას, ვხედავ როგორც ღონივრათ ღელავს მისი ახალგაზდა გული, როგორც იმის ტურფა თვალებში ბრჭყინავს ცრემლები, როგორ ვარდისფერი, მწვავი ტუჩები ჩურჩულებენ:

„—ოხ, რა კარგი ვინმე უნდა იყოს ეს“!

დიახ, ჩემო კარგო, შენ არა სცდები: მე ძალიან კარგი ვარ; მაგრამ ძალიან უბედურიც! შემიყვარე, შემიყვარე იმდონათ მაინც, რომ როდესაც შენ იქნები ბედნიერი, როდესაც მისცემ შენ გულსაც, შენ სიცოცხლესაც იმას, ვისაც ამოირჩევ მთელ ქვეყანაზედ,—მომიგონე მაშინ. მოიგონე, რომ არის ერთი უბედური, ძალიან უბედური, რომელსაც თავის დღეში არ უნახავს სრული ბედნიერება და ნავდვილი ცხოვრება, და ... უბედურს, თუმცა არ ვიცნობს, ... ვარხარ უგონოთ, ვნებით და თავის დღეში ვერ დაგინახავს, ვერ გაიგონებს შენგან იმას, რასა გაიგონებს ყველა სხვა, კარგი კაცი, რომელსაც შენ ამოირჩევ...

ოჰ, რარიგ მიყვარხარ შენ, ჩემო ძვირფასო, უცნობო არსებავ, ჩემი ოცნების, ჩემი დაუძლურებული და დატანჯულის გულის ქმნილებავ! სად ხარ? მე არ ვიცი. ზოგჯერ შენ მე... ლანდები სიდღაც შორს, შორს. მი... ვარდნილ სოფელში, მოღრუბლულ ბატონის სახლში, გარემოცული დიდ... კაცების მოწყობილებით და სიზარმაცით; შენ დაიღალე, დაიქანცე, მო... ილტვი შორს საითკენღაც, მაგრამ ჯერ შენ თვითონვე არ იცი—საით... კენ და არ იცი—რა გაწუხებს და გწვავს და მძიმე ლოდივით გაწევს გულზედ და ჩამოგდის უმიზეზო ცრემლები წამწამებზედ, როდესაც შენ ზამთარში უცქერი უნაპირო თოვლით... ან მინდორს, ან გაზაფხულზედა, როდესაც წარმოდინდებიან წყაროები, აიხსნებიან მდინარეები, გამოჩნდებიან პირველი კოკორები და ადრეულ ტოროლა სადღაც მაღლა, მაღლა...

დარცხვენით გამოწვეული, ვიდრე თანაგრძნობით. თვითონ ბ. ბიაზის თამაშმა, აფიშაში გამოცხადებულმა „პირველმა კომიკმა", სრულიად უფერულად გაიარა და თუ ღიმილი მოჰგვარა ვისმე პირისახეზედ, ეს იყო შედეგი უფრო დაცინვისა და არა გულწრფელი სიცილისა.

ამავე საღამოს დასასრულებლად იყო წარმოდგენილი ვოდევილი „აქტორის ქალი". ამ წარმოდგენაზედ საქსონსკის ქალმა იმღერა, საკმაოდ ააცხადა ციგანკის ტანისამოსში მხრები, მკერდი და მუხლები; ამისთვის საზოგადოებამ დაასაჩუქრა ტაშით. მაგრამ-კი აქაც ვერ დაიმსახურა საზოგადოების ყურადღება. მარტო ბ. კონაკოვს დაეტყო აქტორება.

აი, ამისთანა ტრუპპა გვესტუმრება ხოლმე და მერე ამბობენ, რომ ტფილისში რუსული თეატრი ვერ ხეირობს, საზოგადოება არ დაიარება რუსულ წარმოდგენებზედაო!

ა. მ.

## „დროების" კორრესპონდენცია.

—

**შორაპნიდამ, 20 მარტს.** კაცი დავბერდი და ჩვენს ქვეყანაში ამ ნაირი ცუდი ზამთარი არ მახსოვს; აგერ ოთხი თვე გავიდა მუშა კაცს ხელი არ გაუნძრევია სამუშევრათ დიდი თოვლისა და ყინვების გამო, აქა-იქ თუმცა გამოჩნდა ეხლა მიწის პირი და შეიძლება ვენახები სხლას კაცმა, მაგრამ რაღა გავსხლათ, რომ მთლათ თოვლისაგან არის ვაზები დამტვრეული და დახლეჩილი და ბევრგან სატევე ლერწებიც შემხმარია ძლიერის სიცივისა და ყინვისაგან. ცხადია ვენახებს თითქმის მთელ შორაპნის მაზრაში დიდი ზარალი ექმნება წელს.

პირუტყვებიც უნდა გამოეშვათ კარში, რომელნიც ეს ოთხი თვეა თავლიდგან გარეთ არ გამოშობილან, მაგრამ რას იშოვიან საწყლები საჭმელათ? ძველი საკვებავი (ჩალა) შამოგველია და ახალი ბალახებისა ჯერ არსად არის წამოსული, თოვლის წყალობით და მერმეთ საბალახოც არსად არის ჩვენში და თუ სადმეა, პატარ-პატარა და აქაც უშლიან ზოგიერთი მამულის შეპატრონეები. უნდა კაცმა მართალი სთქვას, რომ ამ მხრით შორაპნის მაზრის სოფელს ივრის მცხოვრები აზნაურნი ჩხეიძეები ჯერ სინიდისიანათ და სათნოთ ეპყრობიან მახლობელ გლეხ-კაცებს: ამ ჩხეიძეებს აქვსთ კარგა ძალი ადგილები როგორც სოფლებში, ეგრეთვე მთაშიაც, სადაც გლეხი კაცები მუქთად აძოვებენ ბალახს თავიანთ პირუტყვებს და ამით დიდი შეღავათი აქვსთ; მაგრამ ერთი ამ ჩხეიძეთაგანი მოხუცი კაცი ბ. სხვა რიგათაც განსხვავდება მათში: აქ ჩვენს ახლომახლო სოფლებში ხშირად არის კიდევ დარჩენილი ძველი ჩვეულება: წელიწადში თუ სამჯელ საუფლო დღესასწაულებზედ, სახელდობ შობას, აღდგომის და მთავარ-ანგელოზობის გლეხ-კაცებს საკურთხი მიაქვსთ ეკკლესიაზედ მიცვალებულების სახსენებლად; მიიტანებენ შეძლებისა-დაგვარად ცხვრებს, ქათმებს, ტაბლებს, პურს, ხილს, წითელ კვერცხებს და ღვინოს, თითო ღერს წმიდა სანთელს და საკმევლსაც მიცვალებულების საფლავზედ ასანთებათ; შემდეგ წირვის გამოსვლისა აკურთხებინებენ მღვდელს მიტანილს საკურთხსა და შემდეგ კურთხევისა თითო ულუფა ხორცს, რამოდენიმე პურსა, ტაბლებს და სხვას მიართმევენ მღვდელს და დანარჩენს ჩაუჯდებიან იქვე ეკკლესიაზედ ყველა გლეხ-კაცები, ვისაც მიუტანია საკურთხი, ზოგი აზნაურებიც ჩაერევიან ამ ხალხში და ძალიან მადიანათ მიირთმევენ ზემოთ ნათქვამს მიცვალებულების საგძალს და ძალიან ჩაბრუშებულები ხანდახან მუშტუკუნსაც ძალიან გაახურებენ ხოლმე ერთმანეთს შორის.

ამ გვარის მოქმედების მოსასპობლათ, ვითარცა უბრალო ხარჯისა, თუმცა ბევრჯელ იქადაგა ყოვლად სამღვდელლომ იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა, მაგრამ ჯერაც არ მოუშლიათ ცრუ-მორწმუნეებს მიცვალებულებისათვის საგძლის ზიდვა.

ზემოთ ხსენებული მოხუცი ჩხეიძე ერთს დროს, როდესაც გლეხებმა ბევრი საკურთხი მიიტანეს ეკკლესიაზედ სოფ. ფუთს, მივიდა იქ და რადგან აქაურს მღვდელს არ ემადრიელებოდა, გლეხებს დაუწყო შეგინება, რომ მათგან მიტანილს საკურთხს მღვდლისგან არავინ არ იკურთხევა არ უნდა და არცარა მნიშვნელობა აქვს მისგან კურთხევას, რაც რომ ტყვილ-უბრალოთ არ აძლევენ იმითი მღვდელს საკურთხიდგან მონაწილეობას, ასე რომ შეუძლიათ მათ უმღვდლოთ თვითონ აანთონ სანთლები მიცვალებელლების საფლავზედ, დაწვან იქვე საკმეველი, წაუქციონ დოქით ღვინოს თავი, შეუთვალონ შენდობა მიცვალებულებს და შემდგომ ჩაუსხდნენ იქვე თავისთვის მიტანილ საკურთხს და მიირთვონ. ეს მოძღვრობა ყურადღებით მოისმინეს გლეხებმა და ზოგიერთებმა კიდეც აღასრულეს ახალი მომძღვრის დარიგება: ჩაუსხდნენ იქვე პურისჭამას, სანამ მღვდელი ეკკლესიიდგან გამოვიდოდა, მიიწვიეს ახალი მოძღვარიც და ისეთ ნაირად შებრუშდნენ ახალი მოძღვარი და მისი მოწაფეები, რომ ძლივს ფეხების ბლანდვით და ბარბაცით წავიდნენ თვი-თვის სახლში. მღვდელი რომ გამოვიდა ეკკლესიიდგან და დაინახა, რომ ხალხი და იმათი ახალი მოძღვირი პურის ჭამით იჯდენ და ერთ მანეთის სადღეგრძელოს სვამდნენ, თქვა, რომ ჰე აქ სხვებ არის საქმეო! და მწარეთ გულ-დაწყვეტილი წავიდა თავის სახლში ტაბლა უჭმელი, რომელიც ძალიან უყვარსთ საზოგადოთ მღვდლებს.

ამ ბატონ მოხუცს ჩ—ძეს თუ რომ ამდენი გავლენა ქონდა ამ ცრუმორწმუნე ხალხზედ, უმჯობესი არ იყო, რომ ამ დალოცვილს ერჩია იმ გლეხ კაცებისთვის, სულ მოსპონ ამ გვარი ცრუ-მორწმუნოება და ეკკლესიაზედ მიცვალებულებისათვის ამ გვარი უბრალო ხარჯი ნუ დააქვსთ მაშინ, როდესაც მიცვალებულებს არასფერს არ ეხმარება და საწყალი გლეხი კაცები-კი, რომელნიც ღარიბები არიან და თავისი არა აქვსთ, ვალს იღებენ და იმითი უნდა იყიდონ ცხვარი, ქათმები, პური და ღვინო მიცვალებულების შესანდობლად.

შორპნელი გარსევან მოდებაძე.

---

ლაჟვარდს ცაში გაიძახის თავის ზარიან სიმღერას; ჰაერი კი, გამთბარი ბრწყინვალე მზის სხივებით, ვარდება აღტაცებულ გულში...

ზოგჯერ შენ მეჩვენები სხვანაირად. როდესაც მე მივდივარ პეტერბურღის ცივ ქუჩებზედ, ჯანღიან დღეში, ან საღამოს წვიმა მიშხაპუნებს და სქელი ბურუსი ჩადის ფილტვებში ჰაერის მაგივრათ, მე გხედავ შენი სახლების მაღლა სართულებში, სადაც ანთებენ პაწაწინა ფანჯრები, რომლებიდამაც გამოციმციმებს ციალი სინათლე შენი პატარა ჭრაქისა. იქ სცხოვრობ შენ, უმანკო, სინიდისიანი, ჭაბუკური ოცნებით, დიდი საქმის წყურვილით, ფართო საზოგადო საყვარულის ლტოლვილებით, ურიცხვ ფიქრებით, რომლებიც დასობით ეხვევიან შენ ნორჩ თავს...

მიყვარხარ შენ!.. მართლა ხარ შენ სადღაცა, თუ სრულიად არსადა ხარ, გარდა ჩემ დატანჯულ ოცნებისა?.. მე მწამს, რომ ხარ, მწამს, რომ შენ არსებობ! თუ ასე არ ყოფილიყო, აღარ ელირებოდა ქვეყანაზედ ცხოვრება; ამაო იქნებოდა ჩემი უზომო ტანჯვა, ჩემი მწუხარება. ეს კიდევ იმაზედ არის დამოკიდებული. თუ ვინა ხარ შენ: ჩემი გმირი თუ მკითხველი... რა ხარ? რა? გმირი? ჰო? შენ მართლა არა ხარ? მიპასუხე და, მიპასუხე: რა ხარ?... ჩემი მკითხველი, თუ გმირი?.. არ ვიცი.

საცალა შორს, მივარდნილ ადგილში, წარმომიდგება თვალ წინ ახალგაზდა პატიოსანი მშრომელი საერო საქმეებისა. ის ერთად-ერთია, ყველასგან შეურაცხყოფილი, გასრესილი ტალახში... მას ეწინაალმდეგება ხალხის გონებითი სიბნელე, რომელთან საბრძოლად მასში მოიპოვება მრავალი წყურვილი, მრავალი სურვილი, მაგრამ ამასთანვე არ მოიპოვება შეუდრკელი, რკინასავით მაგარი მოთმინება. ყოველი მოხიბვლა, ხეპრული ქცევა ხალხისა ენერგიას-კი არ უმატებს, არამედ ძირში უსპობს ამ კეთილშობილურ ძალას, გულში უსუსტებს სასო წარკვეთილების ალს. მას ეწინაალმდეგებიან ყველა დანარჩენი ერობის მომქმედნი, რადგანაც იგი ეწინაალმდეგება ამ უკანასკნელების საზოგადო ფულის ცარცვას, ან დალატაკებული ხალხის რბევას..... ადმინისტრაცია..... მაგრამ დავანებოთ მას თავი! უკეთესი იქნებოდა, რომ მისთვის გვეწოდებინა „გაუგებლობა", ის ყველაფერს აიტანდა.

უველაზედ ულრმეს ტანჯვას ის გრძნობს თანა-მოაზრე და თანამგრძნობელი ხალხისაგან... მაგრამ ის ამათ სხვებს არ ადარებს, თუმცა ეწინაალმდეგება მათ შეხედულობას. მათი საყვედური ხვდება ამას შიგ გულში, იმიტომ რომ ამან იცის: იმით უკარნახებს არა ანგართ მოყვარეობა, არა წყურვილი გამდიდრებისა, არა მტაცებლობისა ინსტიკტი; ისინი ეუბნებიან.

„— რას ეწვალები? რათ იტანჯები, ან თავს ქვას რათ ახეთქამ? რად ითმენ ყველაფერს: ხალხის სიბნელეს, ამხანაგების ჯაშუშობას, უკანასკნელი ურიადნიკის და ჩაფრის ხეპრულ მოქმედებას? რა გამოდის მაგ შენი მეცადინეობიდამ? შენი სკოლები იკეტებიან ინსპეხტორის ერთი თვალის დახამხამებით, იმ ინსპეხტორისა, რომელსაც მასწავლებელმა თავის დროზედ ვერ მიართვა პალტო, შენი ერობის ექიმები სწამლობენ მხოლოდ ვაჭრებს და ბატონებს, იმიტომ რომ გლეხის წამლობა არც-კი შეიძლება იმის საცოდავ ქოხში, რომელიც სენებით გაპიტულია ძირიდამ მაღლა ჭერამდინ! შენ თითონ ყოველს წამს უნდა შიშ ქვეშ იყო, კანკალებდე შენი ოჯახისთვის, იმიტომ რომ შენ ქალალდს კი არა თამაშობ, — შრომობ, ჰფიქრობ ერობის საქმეზედ, ხალხის საჭიროებაზედ, შენ საყვარელ სკოლებზედ!... დაანებე ყველაფერს თავი! შენ მუქთა მჭამელი ხარ! შენ მუქთად სჭამ ხალხის ლუკმას! ფლიდი ხარ!... მოდი ჩვენთან, ჩვენ გასწავლით როგორც უნდა მოიქცე."

მე ვხედავ იმას, როგორ მთელი ღამე ტრიალებს თავის ლოგინში შეძრწუნებული, აღელვებული იმ საყვედურებით, . . . . . . და ჩურჩულებს:

—სწორეთ რომ ბევრი მართალია იმათ სიტყვებში: რისთვის, რათ ვიკლავ თავს? რისთვის ვითმენ ამდენს? გული იგლიჯება ტანჯვისაგან... არსაიდამ სხივი, არსაიდამ სინათლე არც იმედი შრომის პირობეების გაუმჯობესობისა.... რისთვის ნეტა?

ჩურჩულებს ის და თვითონვე არ იცის რისთვის; მოელის, და გული უფრო მაგრათ უცემს, ვიდრე საათი, რომელიც აქვე სტოლზე ძევს. ცივი ოფლი დაასხა შუბლზედ.

(დასასრული ხვალ)

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი

სომეხთ ნერსესის პოპეჩიტლების სოვეტში ამ აპრილის 21-სა, საღამოზედ 8 საათზედ არის დანიშნული **ტორგი** (უპერეტორშკოთ) **იჯარით მისაცემათ თელეთის წმიდის გიორგის გზაში ერთის დუქნისა** თავისის ერთის ოთახითა.

მსურველს შეუძლიან წაკითხვა პირობისა ამავ სემინარიის კანცელარიაში ყოველ დღე, კვირისა და უქმის დღეების გარდა, დილის 10 საათიდან ვიდრე 12 საათამდინ. (3—1)

### სადგომი

8 და 4 ოთახიანი იძლევა ქირით ვორონცოვას წყლის-ნაპირა ქუჩაზედ, სახლის № 13. ჰკითხეთ სახლის-პატრონს ისარლოვისას. (3—1)

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი ღონისძიების [...] მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. **იქვე იყიდება:** პაროესინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—78)

### ექიმი შტემბორსკი

მიიღებს ვენერიულ და ხორცის კანის ავათმყოფებს მუდამ დღე დილის 9 საათიდამ 11 საათამდინ და საღამოს 4 საათიდამ 11 საათამდინ. ღარიბებს მიიღებს მუქთად.

ადრესი: სოლოლაკი სადოვის ქუჩა, სახლის № 50. (10—2)

მომავალ კვირაში გამოვა

# ქურუმ ყარამნის შვილის

მოთხრობა,

მეთოთხმეტე ნაწილი.

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ მელიქოვის სტამბაში.

**ისყიდება** ახლად აშენებული, პატრონების წასვლის მიზეზის გამო, პიროსნის კუთხეში და ანდრეევის ქუჩაზედ **სახლი № 13** რვა ოთახით ორის წინა ოთახით, სამზარეულოთი და მოსამსახურის ოთახით და ორის სარდაფით, მიწით ზოპით 300 საჟენით.

პირობების შეტყობა შეიძლება ამავე სახლშიდ.

**ისყიდება სახლი** ნიკოლაევის ქუჩაზედ № 96-ს 4 ოთახით თაღებიანი ქვემო პოდვალნი სართულით, თავლით და სხვა ყოველ გვარ მოწყობილებით საყინულით, ამ სახლს აქვს პრიკაზის ვალიც.

დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება ანდრეევის ქუჩაზედ, სახლი № 13. (3—2)

სურამის და ხაშურის სტანციებში ისყიდება დიდ-ძალი დამწვარი კირი. ფასის შეტყობა შეიძლება სურამში ალექსანდრე აბაზაძისგან. (15—9)

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში

### იგავ-არაკნი

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუიდგან გალექსილი თ. რ. ერისთვისა.

ნაფიცი ვექილი

ალექსანდრე მირიანის-ძე

# ჭყონია

მიიღებს ყველა სასამართლოებში საწარმოებლად სამოქალაქო, სამიჯნაო და სისხლის სამართლის საქმეებს.

სადგომი აქვს: ქუთაისში, სილაზე, მ. ჭყონიას სახლში. (5—5)

### იურიდიული კაბინეტი

იურიდიული ბიბლიოტეკით

დაარსდა გოლოვინის პროსპექტზე არხიტექტორის ბილოვის სახლში კელბერის პირ-და-პირ.

მთხოვნელს მიიღებენ დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 3 საათამდის და 7-დამ საღამოს 10 საათამდი.

ამ კაბინეტის პირობა და ტაქსა გამოცხადებულია და ცალკე დარიგდება. (30—13)

### ინგლისის მაღაზიაში

არწრუნის გალლერეიაში

(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | ჩაის ყველგან |
|---|---|
| — — 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| ხაუკეთესი 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—98)

ზრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნის სიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.

დაიბეჭდა და ისყიდება ზრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

### მამულის

### საერთო მფლობელობაზე

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

დაიბეჭდა და ისყიდება ზრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

### თამარ დედოფალი

შედგენილი

კ. ბ—შვილისაგან

გამოცემა

ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი.

**ლონდონის მაღაზია** კომერციულ-ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, [...] დანებისა, [...] კოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შხო კებისა, ცხვირ-სახოცისა, [...] ღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, [...] გრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლუ[...] ვინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო [...] კინტოშის მოსახურავებს გასასყიდ[...] კანფეტების და ბატჯერის და კამპ[...] რაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინ[...] ბისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭ[...] სიგარები. (100—99)

**ტიტულიარნის სოვეტნიკი** ეფრ[...] **ფადეიჩი კობიევი** აუწყებს საზ[...] ველთაო საცნობლად, რომ თანახ[...] ახალი წესისა დაწესებულ უმაღლ[...] მთავრობისა, დიდი ხანია რაც მიი[...] ტფილისის ოკრუჟნის სუდიდამ მო[...] მობა პოვერნიობ-სა, რომელი[...] ნება მაქვს საქმეების წარმოება[...] დებში.

ამისათვის მსურველთ შეუძლია[...] მომანდონ როგორც სხვა-და-სხვა ს[...] მეები საწარმოებლად, აგრეთვე დ[...] ბისა, რომლებიც აღმოჩნდნენ გა[...] ჯვნის დროს მამულებისა. ამისთან[...] ვიღებ უგოლოვნის (სისხლის სამარ[...] ლის) საქმეებსაც, როგორც ვექ[...] და გამოცდილი ჩინოვნიკი მყო[...] სეკრეტრის თანამდებობაში ტფილ[...] სის ოკრუჟნის სუდში.

ბინა მექნება ქ. დუშეთში მ[...] არაქელოვის სახლში.

ზოვერნის ტიტულიარნი სოვეტ[...]
(3—3) ეფრემ კობიევ[...]

### ტაქსის

საქონლის ხორაგეულებათა, რომელ[...] იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დ[...] ნებში და დატარებით 1 აპრილ[...] 1 მაისამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილ[...]

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5[...] |
| მეორის „ | —1 გირ. | 3[...] |
| მესამის „ | —1 გირ. | — |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარ[...]

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 6 |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 7 |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4[...] |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 11 |
| მეორის „ | —1 გირ. | 9 |
| სუკი — — | —1 გირ. | 16 |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 13 |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — |
| მეორის „ | —1 გირ. | — |

ახლად ჩამოსული

# ბებია-ქალი

აქვს იმპერატორის მოსკოვის უნივერსიტეტის დიპლომი, რომელიც [...] წელიწადი მუშაობდა ქ. სარატოვში და რომელსაც აქვს ამ ქალაქის საზ[...] მო გამგეობისაგან რამოდენიმე მოწმობები თავის ხელობისა,—მიიღ[...] ავად-მყოფ და ორსულ ქალებს თავის სადგომზე, სადაც აქვს ამათთვის და[...] ზადებული ოთახები.

ადრესი: ელისავეტინის ქუჩა, სახლი 60.
(24—8) ბებია-ქალი დობროდეევა—კაჟინსკისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Апрѣля 1882 г. Типографія Меликова გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მე[...]